საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში

2020

I კვარტალი

15.05.2020

www.geostat.ge

15.05.2020

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა
(I კვარტალი, 2020 წელი)

2020 წლის I კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების[1] 1.3 მილიონი შემოსვლა, რაც 17.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 47.8 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ.

დიაგრამა №1

2019-2020 წლების I კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების[2] მიერ განხორციელებული ვიზიტების[3] რაოდენობამ 1.1 მილიონი შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 16.0 პროცენტით არის შემცირებული.

[1]ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, **მოგზაური** არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.

[2]**ვიზიტორი** არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით (გარდა შემდეგი კატეგორიებისა: დასაქმების მიზნით ჩამოსულები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ან საკონსულო ოფიცრები, შეიარაღებული ძალების წევრები ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირები, აგრეთვე პირები, რომლებიც ხშირად კვეთენ საზღვარს).

[3]**ვიზიტი** არის ვიზიტორების გადაადგილება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2019-2020 წლების I კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას.

დიაგრამა №2

2019-2020 წლების I კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



2020 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 883.8 ათასს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15.2 პროცენტით არის შემცირებული.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 765.3 ათასი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 13.2 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №3

2019-2020 წლების I კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორების 69.1 პროცენტი მხოლოდ ტურისტები[4] იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების[5] წილმა 25.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 5.9 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

ცხრილი №1

2019-2020 წლების I კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ვიზიტორის ტიპის მიხედვით, ათასი

	I კვარტალი, 2019 წელი	I კვარტალი, 2020 წელი
მხოლოდ ტურისტი	705.9	610.3
მხოლოდ ექსკურსანტი	274.1	221.0
როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი	62.7	52.5
სულ	**1 042.8**	**883.8**

[4]**ტურისტი** არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე.

[5]**ექსკურსანტი** არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

15.05.2020

2020 წლის I კვარტალში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 197.2 ათასი ვიზიტორი, დაფიქსირდა აზერბაიჯანიდან, რაც მთლიანი ვიზიტორების 22.3 პროცენტს შეადგენს და წარმოადგენს 7.3 პროცენტიან კლებას 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა (262.2 ათასი) აზერბაიჯანის მოქალაქეების მიერ განხორციელდა, რაც 10.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

დიაგრამა №4

2019-2020 წლების I კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტორების მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით



*იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

ვიზიტორების უმრავლესობა, 48.7 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 33.2 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №5

2020 წლის I კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ცხრილი №2

2020 წლის I კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
კაცი	590.6	66.8
ქალი	293.3	33.2
სულ	**883.8**	**100.0**

15.05.2020

2020 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი, 31.9 პროცენტი, განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

ცხრილი №3

2020 წლის I კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	357.2	31.9
მეგობრების/ნათესავების მონახულება	270.8	24.2
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	185.7	16.6
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	147.1	13.1
შოპინგი	81.2	7.2
მკურნალობა, გაჯანსაღება	28.8	2.6
სხვა	49.8	4.4
სულ	**1 120.5**	**100.0**

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და ქვემო ქართლში, შესაბამისად, 559.3 ათასი და 241.3 ათასი ვიზიტი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

15.05.2020

დიაგრამა №6

2020 წლის I კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, %



2020 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 3.4 ღამე შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (3.7 ღამე) 8.8 პროცენტით ნაკლებია.

განხორციელებული ვიზიტების 83.7 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2020 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

დიაგრამა №7

2020 წლის I კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით



2020 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 1.0 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 12.9 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ვიზიტზე საშუალო ხარჯი 2019 წლის I კვარტალთან შედარებით 3.7 პროცენტით გაიზარდა და 922.4 ლარი შეადგინა.

ცხრილი №4

2020 წლის I კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	%	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საკვები და სასმელი	331.0	32.0	295.4
გართობა	205.7	19.9	183.6
საყიდლები	201.3	19.5	179.7
განთავსება	199.9	19.3	178.4
ადგილობრივი ტრანსპორტი	74.0	7.2	66.0
სხვა	21.6	2.1	19.3
სულ ხარჯი	**1 033.5**	**100.0**	**922.4**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge